894.35
ვ-367

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

*ხელნაწერის უფლებით*

ნანული კაჭარავა

# კორპორალური ლექსიკა თურქულში

10.02.06. – ახლო აღმოსავლეთის ენები
(თურქული ენები)

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების თურქოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ნოდარ ჯანაშია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**მარიკა ჯიქია**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**აიგულ ცალქალამანიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ცისანა აბულაძე**

დისერტაციის დაცვა შედგება **2006 წლის 15 სექტემბერს 14.00 საათზე**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთელის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს (C10.06.№9) სხდომაზე.
მისამართი: 0162, თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქ. 3.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის აკად. გ. წერეთელის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 0162, თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქ. 3.

ავტორეფერატი დაიგზავნა **2006 წლის 15 აგვისტოს**

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი **დ. სვანი**

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

***კვლევის საგანი და მიზანი.*** ლექსიკაში სისტემურობის ნიშნების აღმოჩენა საკმაოდ რთული ამოცანაა. ამ სირთულის დაძლევის ერთ-ერთ გზად აღიარებულია ლექსიკური ფონდის სემანტიკური კლასიფიკაცია და ცალკეული ჯგუფის შესწავლა; ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი რომელიმე კომპონენტის საფუძველზე გამოიყოფა. ჩვენს შემთხვევაში ასეთი სემანტიკური კომპონენტი არის ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა. ჩვენი მიზანია **baş**'თავი', **el**'ხელი', **göz**'თვალი' ლექსემათა სიტყვაწარმოების შესაძლებლობათა ჩვენება თურქულში.

**baş, el, göz** სომატიზმები საერთოდ ენებში, და კერძოდ თურქულ ენაში, სიტყვაწარმოების მდიდარი შესაძლებლობით გამოირჩევა. თავიანთი პოლისემანტიკური ბუნების გამო მათ თურქული ენის ლექსიკურ სისტემაში გამორჩეული ადგილი უკავია. ძირითადი მნიშვნელობების გარდა სამივე ლექსემა მრავალგზის იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. ადამიანის სხეულის ნაწილების სახელები, წარმოადგენს ლექსიკის ერთ-ერთ შედარებით მყარ და ნასესხობათათვის ნაკლებადშეღწევად დაჯგუფებას. უნდა აღინიშნოს, რომ სომატური ლექსემები არამარტო ანატოლიურ თურქულში, არამედ საერთოდ თურქულ ენებში, გამოირჩევიან თავიანთი პოლისემანტიზმით. ეს უკავშირდება მათ არსებობას გადატანითი მნიშვნელობებით, რაც საფუძვლად ედება სხვადასხვა არტეფაქტების, სივრცობრივი და ლანდშაფტური ტერმინების წარმოქმნას (ტიპოლოგიური თვალსაზრისით ერთიც და მეორეც ბუნებრივია).

კვლევა მიზნად ისახავდა აღნიშნული სომატიზმების სიტყვაწარმოებითი საშუალებებით მიღებული სიტყვების მოძიებასა და სრული ნუსხის დადგენას. კვლევის პროცესში გამოყენებულია თურქული პოეზიისა და პროზის ნიმუშები და სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონები.

***თემის აქტუალობა.*** ნაშრომი წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრაზე მიმდინარე თურქული ენის სემანტიკისა და გრამატიკის შესწავლის ორგანულ გაგრძელებას. იგი ეძღვნება კორპორალური, ანუ ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი, ლექსიკის სემანტიკურ-გრამატიკული სისტემის დახასიათებას თურქულში. კათედრაზე მსგავსი ნაშრომი ჯერ არ დამუშავებულა, ეს არის პირველი ცდა ამ ტიპის გამოკვლევისა.

***მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები.*** წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომში პირველად თურქოლოგიაში განხილულ იქნა კორპორალური ლექსიკა. გაკეთდა **baş, el, göz** ერთეულთა სემანტიკურ-გრამატიკული ანალიზი; მაქსიმალურად გამოვლინდა ამ ლექსემათა სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი თურქულში; დადგინდა წარმოქმნილი სიტყვების – ახალი სალექსიკონო



Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе